მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ცნობა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო გაცნობებთ, რომ „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 17 ნოემბრის №123.12353211 ბრძანების შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტზე წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (საკრებულოს აპარატში), არაუგვიანეს 2025 წლის 25 ნოემბრისა.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართია: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ. №43, ადმინისტრაციული შენობის მესამე სართული.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ სოციალური ქსელის Facebook.com-ის მეშვეობით - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე www.ninotsminda.gov.ge საშუალებით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში-განცხადების სტენდზე, ან ეგზემპლარი მოიკითხოთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2026 წლის პროექტის განხილვა-დამტკიცება სავარაუდოდ დაგეგმილია 2025 წლის ბოლოსათვის.

საკრებულოს თავმჯდომარე ვაან არაიან

17 ნოემბერი 2025 წელი, ქ. ნინოწმინდა